საქართ. შემარც. სოც.-ფედ. სარგკ. პარტია

წელიწადი მესამე

# ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალხოს ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 60,000 მან.
4 „ 50,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 425 ოთხშაბათი, მარტის 21 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კომუნისტების ყრილობა

5

### მენშევიკური ბრძოლის ძალები.

მეშევიკური პარტია, როგორც მებრძოლი პოლიტიკური ძალა, მეტად ცნობილია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს კულტურულს მსოფლიოში. კენიგრეცის და სედანის შემდეგ სოციალ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენდა ერთად ერთ ძალას, რომელიც აქტიური ბრძოლით სალათა ძილს უფრთხობდა ავსტრიის, გერმანიის და საფრანგეთის რეაქციას.

საქართველოში სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ერთბაშად მოიმხრო ქართველ ხალხის დიდი უმრავლესობის გულისყური. გიორგი წერეთლის და ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას დასელთა რადიკალური კამპანია მოხვდა გამანადგურებელ ყუმბარად. ჟურნალი „კვალი“ ფაუსტის სულის მატარებელი კულტურულ-პოლიტიკური მოვლენა იყო—ოსვალდ შპენგლერის ენით რომ ვსთქვათ.

რა შეადგენდა მაშინ მენშევიკური (დასელთა) პარტიის უმთავრეს ძალას, ღირებულებას? რა და რით მიიპყრო ჩვენი ხალხის ყურადღება?

დასელებმა ორ უმთავრეს გარემოებას მიაქციეს ყურადღებას. პირველი იყო მუშათა კლასის ბატონობის პრინციპის წამოყენება, რომელსაც ბატონ-ყმობის გადაგდებამ და რკინის გზის გაყვანამ ფართო სამოღვაწეო ასპარეზი გაუშალა, მეორე იყო ქართველი მშრომელი ხალხის ყველა მეზობელ ხალხებთან ერთად რევოლიუციონური მიზნის სამსახური.

ამ შეხედულებამ საოცარი რევოლიუციონური როლი ითამაშა. ამ აზროვნებამ აღზარდა მთელი ახალი თაობა, მწერლობაში შექმნა უიშვილების ტიპები და პოლიტიკაში დარაზმა წითელი ლეგიონი გაბედული რევოლიუციონერებისა.

საერთოდ აღებული ეს გზა უეჭველად დიდ მომავალს უქადდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, მაგრამ დღეს კი ვხედავთ, რომ ეს ბუმბერაზი პარტია პირქვე დანარცხებულია არა მარტო საქართველოსა და რუსეთში, არამედ მას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იტალიაში, საფრანგეთში, ხოლო გერმანიაში—სოციალ-დემოკრატების ამ ნაკურთხ ქვეყანაში-მათი ძალა დღითი დღე იწურება.

რაშია საქმე? რა მოხდა?

ბევრს გონიათ, რომ მენშევიკების დამარცხება აიხსნება იმ ძალდატანებით, რომელიც მათზე კომუნისტებმა მოახდინეს. ეს არის ვულგარული ახსნა-განმარტება დიდი ისტორიული მოვლენის.

ჩავიხედოთ მოვლენის სიღრმეში და განზე გავტოვოთ ზერელე აზროვნება; შეიცვალა თუ არა თავისთავად მენშევიკური პარტიის ძირითადი პოლიტიკა?

საგულისხმიეროა შემდეგი: ისტორიამ მენშევიკებს დააკარგვინა ის, რითაც ის იმარჯვებდა ილია ჭავჭავაძის ჯგუფზე. იმავე ისტორიამ მიანიჭა მენშევიკებს შოვინისტების სუსტი მხარეები. ეს გახლავსთ მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალისტური პოლიტიკის წარმოება, ეს გახლავსთ ინტერნაციონალური პოლიტიკის სავსებით დავიწყება და დაკარგვა.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ იცოდა რომ ნაციონალური საქმის გაკეთება შეუძლებელია ნაციონალისტური პოლიტიკის გზით. ამიტომ იყო პარტიამ მიიღო **ფედერალისტური** ე. ი. ინტერნაციონალური გეზი. მაგრამ, თუ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია მაინც ვერ შექმნა მასობრივი პარტია საქართველოში, ეს აიხსნება მით, რომ ფედერალისტთა პარტიაში ინტერნაციონალური მომენტი იყო უმთავრესად **თეორიულად აღიარებული** პრაქტიკაში კი პრევალიური მნიშვნელობა ქონდა უმთავრესად ნაციონალურ მომენტს. ეს იყო ჩვენი შეცდომა, რასაც ეხლაც ვაღიარებთ და ვაღიარებდით საზოგადოთ პარტიაში, როცა ვრცელ წერილებს ვწერდით „სახალხო საქმეში“ შოვინიზმის წინააღმდეგ და ფედერალიზმის დასაცავათ.

ჩვენი ეს სუსტი მხარე სავსებით მიიღო სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ. ნაციონალ-დემოკრატიული პარტია იყო პარტია კარლიკური, ხოლო ფედერალისტებისა უმთავრესად ინტელიგენტური იმიტომ კი არა, რომ ცუდი ლიდერები ჰყავდათ, არამედ იმიტომ რომ **პოლიტიკა** არ იყო სავსებით სწორი. მენშევიკების პოლიტიკის უკიდურესმა გადახრამ იგი დააახლოვა ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიასთან (საქ. დამფუძნებელს კრებაში ისინი შეხმატკბილებული იყვნენ). რასაკვირველია ეს გამოიწვევდა მენშევიკური პარტიის კრიზისს და ამ კრიზისის მოწამენი ვართ ჩვენ ამ ჟამად.

ქართველი ხალხი არ არის შოვინისტური. ან ნაციონალისტური, ამ სიტყვის ზოოლოგიური შემეცნებით. მენშევიკური მთავრობა შეიქმნა ნაციონალისტური მთავრობა და რაკი არც ერთი ნაციონალისტური მთავრობა არ შეიძლება იყოს მასობრივი და მუშური მთავრობა, ამიტომ მენშევიკების მთელი პოლიტიკა იყო დამყარებული ბურჟუაზიულ პრინციპებზე.

ამიტომ მენშევიკური პარტიის გაკოტრება იწყება გახელმწიფების დღიდან, მას შემდეგ, რაც მათ დაკარგეს საერთო ენა მუშათა კლასთან.

ქართველმა ხალხმა იცის და ეს უნდა ყოველმა პოლიტიკურმა პარტიამაც იცოდეს, რომ თანამედროვე განმათავისუფლებელი მოძრაობა იშლება მხოლოდ და მხოლოდ ინტერნაციონალური, საერთაშორისო ბრძოლის მაშტაბით.

ქართველ ხალხს არ შეუძლიან გარიყული პოლიტიკის წარმოება, ხოლო სოციალ-დემოკრატია 1917 წლის რევოლიუციამდე არ აწარმოებდა დამოუკიდებელ რევოლიუციონურ პოლიტიკას. აიღეთ ახლანდელი არალეგალური ორგანო მენშევიკებისა „ჩვენი ერთობა“ და „დამოუკიდებელი საქართველო“—ვერ ნახავთ ერთ სიტყვასაც ქართველ ხალხთან ერთად სხვა მეზობელ ხალხების რევოლიუციონურ კავშირზე. ნუ თუ წარმოსადგენია რევოლიუციონური ბრძოლა და ამ ბრძოლის დროს არ ილაპარაკოთ სომხის, თათრის, რუსის და სხვათა მუშათა კლასის კავშირზე და საერთო გამოსვლებზე. მარტო ერთი ერის ძალაზე ლაპარაკი და ამავე დროს არ სწარმოებდეს ლაპარაკი რომელიმე განსაზღვრულ კლასზე—ეს არის უტოპიური სოციალიზმი ბლანკის, კონსიდერანის, ფურიეს და ოუენის. რასაკვირველია ამ უტოპიის გზას ვერასოდეს გაჰყვება ქართველი მშრომელი ხალხი და ამის გამოა, რომ მენშევიკების მთელი პოლიტიკური დემაგოგია რეაქციონური რომანტიკის ელფერს სტოვებს რაიცა საამისო ფურცლებს დაიჭერს რევოლიუციის მატიანეში.

მენშევიკური პარტია იშლება—ამბობენ. ეს არ არის მართალი. მენშევიკური პარტია უკვე კაი ხანია დაიშალა, იგი დაიშალა იმ დღეს, როცა მენშევიკებმა იგემეს სახელმწიფოს ძალა-უფლება და ყოველივე კავშირი გაწყვიტეს, როგორც საქართველოს, ისე ყველა რევოლიუციონურ ქვეყნების მუშათა კლასთან.

თედო ღლონტი.

## პრესა

გაზეთი „კომუნისტი“ (№ 62) ეხება ეხლახან დამთავრებულ მეორე ყრილობას საქართველოს კომუნისტური პარტიისა და აღნიშნავს მთავარ მომენტებს:

„ერთი მთავარი საკითხი, რომელიც იდგა ყრილობის დღის წესრიგში, იყო: „ნაციონალური მომენტი პარტიულ და საბჭოთა აღმშენებლობაში“.

„სავსებით გასაგებია ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც ყრილობამ გამოიჩინა ამ საკითხისადმი.

განყენებულად აღებული ნაციონალური საკითხი ადვილად იჭრება მარქსისტულ-კომუნისტური თვალსაზრისით. ერების სრული თანასწორობა, თავისუფლება, მათი ყოველმხრივ განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობების შექმნა,—აი ზოგადად ჩვენი ფორმულა.

საქმე რთულდება მაშინ, როცა პრაქტიკულად ვაყენებთ საკითხს და ცხოვრებაში ვატარებთ ჩვენს პარტიის ეროვნულ პროგრამას.

კერძოდ ეს ითქმის ჩვენს ქვეყანასა და ამიერ-კავკასიაზე, სადაც მრავალი ხალხები მოსახლეობენ“.

...„კონკრეტიულად, ჩვენი ქვეყნისა და ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა ფედერაციის დღევანდელი სინამდვილის პირობებში, როგორ უნდა განხორციელდეს ეს ამოცანა?

ჩვენი, როგორც კომუნისტების, იდეალს შეადგენს მშრომელთა რაც შეიძლება უფრო მჭიდროდ შეკავშირება.

მაგრამ ეს კავშირი, ეს ერთობა ოდნავადაც არ ნიშნავს ნაციონალურ თავისუფლების უარყოფას, პირიქით, ის ძირითადი პირობაა ხალხთა ეროვნულ უფლებების დასაცავად, მათი კულტურულ განვითარებისათვის ნორმალურ პირობების შესაქმნელად.

კერძოდ ჩვენი ქვეყანა, თუ ის არ დაუკავშირდებოდა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებს, სუსტი იქნებოდა ეკონომიურად. პოლიტიკურად და ყოველმხრივ მისი დამოუკიდებლობა ფიქციად გადაიქცეოდა, ის ჩავარდებოდა დასავლეთის იმპერიალისტების მონობაში; როგორც ეს იყო მენშევიკების დროს.

მაშასადამე, ჩვენს ხალხს, რომ მან შესძლოს თავის არსებობის შენარჩუნება, ყოველმხრივ განვითარება, უნდა გადაესკვნა თავისი ბედი რევოლიუციასთან, რომელიც ანთავისუფლებს ხალხებს პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიურ მონობისაგან, უნდა დაეკავშირებინა თავისი თავი საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელებთან.

და ჩვენ ვიცით, რომ ეს განხორციელდა: შეიქმნა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, შემდეგ ს. ს. რ. კავშირი“.

„ღირსშესანიშნავია რეზოლიუციის შემდეგი ადგილები: „ძირითადი ამოცანაა დავამტკიცოთ საქმით, რომ საბჭოთა ხელისუფლება სავსებით უზრუნველყოფს კლასობრივ ინტერესებთან ერთად მშრომელთა არა მარტო ეკონომიურ, არამედ ნაციონალურ ინტერესებსაც“. და შემდეგ: „განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რათა გაერთიანებულ აპარატებს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლოთ გადაქცევა „ველიკორუსულ“ ნაციონალიზმის გამტარებელ იარაღად; ყოველგვარ ასეთი ცდის წინააღმდეგ პარტიამ უნდა აწარმოოს გაბედული და სისტემატიური ბრძოლა“.

ჩვენი პარტიული ყრილობა უფრო შორს მიდის ეროვნებათა ინტერესების დაცვის საქმეში. მან წამოაყენა პროექტი მეორე პალატის სახით პარალელურ საკავშირო ორგანოს შექმნისა, სადაც ეროვნებები წარმოდგენილი იქნებიან თანასწორ საფუძველზე. ამ ორგანოს მიზანია სპეციალურად ხალხთა ნაციონალურ უფლებების და ინტერესების დაცვა“.

ჩვენ მოველოდით რომ საქართველოს კომპარტია, თუ ის მხედველობიდან არ გაუშვებდა მშრომელთა ეროვნულ ინტერესებსაც, სხვა გზას ვერ დაადგებოდა, სხვა გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა. ყრილობის დადგენილება ეროვნული საკითხის და მისი გარანტიების შესახებ ფრიად საყურადღებო და დიდმნიშვნელოვანია. ჩვენ თავის დროზედ წამოვაყენეთ ერთა თანასწორობის გარანტიის საჭიროება, მეორე პალატისებური ორგანოს აუცილებლობა და ძლიერ გვიკვირდა როცა მაშინ „კომუნისტი“ გვეკითხებოდა: რომელი ლოღიკის და სამართლის ძალით უნდა მოვითხოვოთ, რომ სამ მილიონიან საქართველოს იმდენივე წარმომადგენელი ჰყავდეს, რამდენიც 100 მილიონიან რუსეთსო? ალბად ეხლა ყველამ შეიგნო ლოღიკა და სამართლიანობა, რომ ერთა თანასწორი უფლიანობა არაა დამოკიდებული მათ მრავალრიცხოვანობაზედ.

## ზოგი რამ

### 1. ახალი ოსმალეთიც იმპერიალისტურია.

როცა ოსმალეთის ხალხის დეპუტატებმა ანგორის დიდ ეროვნულ ყრილობაზე სულთანობა მოსპეს მისი სუვერენული უფლების ხალხზე გადაცემით და ხალიფობა დასტოვეს, აქაურმა პრესამ ოსმალთ ასეთი გადაწყვეტილება ჩასთვალეს პროგრესიულ მოვლენად.

ოსმალეთის პოლიტიკას ახასიათებდა აქნობამდე იმპერიალისტური პანთურქიზმი და პანისლამიზმი. მაგრამ რამდენად შესაძლებელია, ანგორის ყრილობის გადაწყვეტილებამ ოსმალეთის მთავრობა ახალ გარემოებაში ჩააყენოს, ე. ი. დაავგმობინოს იმპერიალიზმი? სულთანის ხელმწიფებას ამიერიდან სრულ ჰყოფს ეროვნული ყრილობა, მაშასადამე შესაძლებელია წინამთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე ხელი კიდეც აიღოს, არც აიღოს, ასე რომ სულთანობის მოსპობა თავის თავად არაფერს ჰნიშნავს და ყველაფერი იმაზე ჰკიდია, ეროვნული ყრილობა როგორ პოლიტიკას აწარმოებს. საფრანგეთმა მოსპო მეფობა, მაგრამ მისი პარლამენტი და მთავრობა უდიდეს იმპერიალისტურ პოლიტიკას აწარმოებს, მოსწრაფე ქვეყნის ბატონობისა.

გვაქვს, თუ არა, რაიმე საბუთი, ვიფიქროთ, რომ მომავალი უსულთანო ოსმალეთი არ იქმნეს იმპერიალისტური? არავითარი ასეთი საბუთი არა გვაქვს. პირიქით ჩვენ ვდგევართ ახალ ოსმალეთში ისეთი ფაქტის წინაშე, რომ იმპერიალიზმი ისევ ძალაში დარჩება. ფაქტი იგია ხალიფობა, რომელიც ეროვნულმა ყრილობამ დააწესა. ხალიფა არის მოადგილე მუჰამად წინასწარმეტყველისა, მაშასადამე სულიერი მამამთავარი ყველა მუსლიმანებისა ისევე, როგორც პაპი ითვლება სულიერ მამამთავრად ყველა კათოლიკებისა იმ განსხვავებით, რომ პაპი უჯარო, ვატიკანის პატიმარია, ხალიფა კი ჯარიან სახელმწიფოში იქნება, სადაც ეროვნება რჯულისთვის, ხოლო რჯული ეროვნებისთვის შეუწირნიათ. ხალიფას ყურს უგდებს დღეს სამასი მილიონი მუსლიმანი, რომელიც სხვა და სხვა ტომის და სახელმწიფოს ხალხია. მაშასადამე ოსმალეთის ხალიფა მბრძანებელი იქნება არა თუ იმ მუსლიმანებისა, რომელნიც ოსმალეთის ქვეშევრდომები იქმნებიან, არამედ მის გარეშე მართლმორწმუნეთათვისაც. პანთურქიზმი თუ გარეთ არა, შინ მაინც სულის ჩამდგმელად ეყოლება პანისლამიზს. ასეთი მისწრაფება ოსმალეთს უწინაც ეტყობოდა და ეხლაც დაეტყო ლოზანის კონფერენციაზე, სადაც ქურთების დათმობა არ-ისურვა და ეროვნულ უმცირესობად ოსმალეთში მიაღებინა კონფერენციას არა უცხო ტომელობა საერთოდ სჯულის განურჩევლად, არამედ მხოლოდ უცხო ტომელი ქრისტიანობა. მაშასადამე მუსლიმანი ქურთები და მუსლიმანი ქართველები ჭანები (ლაზები), მესხები და სხვები უნდა დარჩნენ ისევ პანისლამიზმის ბრჭყალებში და მათი გადაგვარება, ე. ი. გათურქება სწრაფად განვითარდეს. პანთურქიზმის პოლიტიკას მუსავათური აზერბეიჯანიც აწარმოებდა პანისლამიზმის სახელით აჭარაში, სადაც აგენტები ჰყავდნენ, ხოლო მერმე საინგილოშიაც შევიდა.

სარწმუნოება და ეროვნება სამუსლიმანო სახელმწიფოებში ერთ ცნებად წარმოუდგენიათ და ძლიერ ეროვნებას ისლამის სახელით თავისი გავლენისთვის დაუქვემდებარებია სუსტი უცხო ტომელი მუსლიმანობა. კათოლიკობის სახელით სხვა და სხვა ხალხის თავის მოყრა ერთი ხელმწიფების საფარველ ქვეშ ისტორიის არქივს გადასცემია, მაგრამ მუსლიმანობა ჯერ კიდევ ძლიერ ფაქტორად არის მის მიმდევართათვის, ასე რომ სხვა და სხვა ტომელი მუსლიმანები ისლამის სახელით გამოდიან.

ძალა არ გაჩენილა ჯერ, რომ სარწმუნოება მუსლიმანთა შორის ისეთ კალაპოტში ჩააყენოს, როგორშიაც არის ქრისტიანობა, და სახელმწიფო აამოქმედოს არა სარწმუნოების, არამედ ხალხის ინტერესით. სევრის ხელშეკრულობით ოსმალეთის სახელმწიფო უნდა შედგენილ ყოფილიყო სარწმუნოებრივი ნიშნებით, ე. ი. მხოლოდ ოსმალთაგან, მაგრამ იგივ ოსმალეთი ლოზანის კონფერენციაზე გამარჯვებული გამოვიდა, რა კი ეროვნულ უმცირესობად მიაღებინა მხოლოდ უცხო ტომელი, ქრისტიანობა, მაშასადამე მიიღო ევროპისაგან სანქცია იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოებისა, ამ საკითხის გასაშუქებლად კმარა მოვიგონოთ ოსმალეთ-ავღანისტან შორის ეხლახან დადებული ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც ავღანისტანი ოსმალეთს სცნობს თავის სიუზერენად.

პეტრე მირიანიშვილი.

## რადიო დეპეშები

### რურის ოლქის ოკუპაცია

#### მძევლები მიჰყავთ

**ბერლინი.** 20 მარტი. ესსენში ფრანგ ჯარის კაცის მოკვლის გამო, ოკუპანტებმა დაატუსაღეს როგორც მძევლები, გერმანიის რეიხსტაგის დეპუტატი კვარცი, სავაჭრო პალატის უფროსი, დოქტორ ფოლმერი, და ბანკის რამოდენიმე დირექტორი, დატუსაღებულნი გადაყვანილი არიან ვერდენის საპყრობილეში.

#### საეკლესიო ქონების რეკვიზიცია

**ბერლინი.** 20 მარტი. ვალტრაში ოკუპანტებმა საეკლესიო უამრავი ქონება გაიტაცეს და ეკლესიაკი, ვითომდა სამხედრო მიზნით, მავთულით შემოფარგლეს.

#### ოკუპანტების მხეცობა

**ბერლინი** 20 მარტი. ფრანგებმა მოკლეს გერმანელ ელექტრო-ტეხნიკი და პოლიციელი, რასაც ისინი ასაბუთებენ მით, რომ აღნიშნულ პირთ თითქოს გაქცევა დაუპირებიათ საპყრობილეში ჩასმის დროს, გერმანიის პრესა კი უარჰყოფს ფრანგების განმარტებას, ვინაიდან ორივე გერმანელი მოედანზე იყვნენ მოკლულნი თოფის დუმის ცემით.

#### ფერადი ჯარები რურში

**ბერლინი** 20 მარტი. ინგლისის თემთა პალატის წევრი სალტერი „პელ-მელ-გაზეტ“-ას ფურცლებზე ადასტურებს ცნობას რეიალანდში, ვისბადენსა და სხვა ადგილებში საფრანგეთის კოლონიალური ფერადი ჯარების ყოფნის შესახებ.

## უცხოეთი

#### ვერ იყოფენ.

**მოსკოვი.** 10 მარტი. ლატვიის პრესამ მოათავსა მთელი რიმი წერილებისა, რომლებშიაც იხილავს პოლონეთის მოთხოვნილებებს მისთვის დვინსკის და ლატვიის მახლობელ 6 თემის გადაცემის შესახებ. პრესა აღნიშნავს, რომ ელჩთა კონფერენ-

ციის მიერ ეხლანდელ საზღვრების დამტკიცების შემდეგ ეს საკითხი ითვლება გადაჭრილად ლატვიის სასარგებლოდ.

**პოლონეთი ემზადება ავანტიურისათვის.**

**მოსკოვი.** 20 მარტი. ლატვიის გაზეთი „რიმაშე რუნდჟაუ“ მოწინავე წერილში აღნიშნავს, რომ პოლონეთის აქტივისტები ამზადებენ ახალ. ავანტიურას კენიგსბურგის ხელში ჩაგდების მიზნით. გაზეთის სიტყვით ამ იდეის ინიციატივა ეკუთვნის პარიზს, სადაც იმედი აქვთ ამ გზით სავსებით მოსწყვიტონ რუსეთი გერმანიას.

**საფრანგეთის ესკადრა ლატვიაში.**

**მოსკოვი.** 20 მარტი. მაისში ლატვიის ნავთსადგურში მოელიან საფრანგეთის ესკადრას, 4 გამანადგურებელის შემადგენლობით.

**რუსეთ-ფინეთის კონვენცია.**

**მოსკოვი.** 20 მარტი. ფინეთის სეიმმა დაამტკიცა რუსეთ-ფინეთის საზღვარის გადამჭრელი საზღვაო გზებით—ხე-ტყის გადაზიდვის და აგრეთვე რუსეთ-ფინეთის სანაპირო წყლებში მეთევზეობის შესახებ.

**მემელის სტატუსზე ხელის მოწერა**

**მოსკოვი.** 20 მარტი. კოვნოდან 19 მარტს გაემგზავრა პარიზში დელეგაცია მალვანოვსკის მეთაურობით მემელის სტატუსზე ხელის მოსაწერად. მემელის უმაღლესმა კომისარმა სმეტონმა, რომელიც არ ეთანხმება მთავრობის პოლიტიკას მემელის საკითხში უარი სთქვა უმაღლეს კომისრად დარჩენაზე და დელეგაციაში მონაწილეობის მიღებაზე.

**მოკავშირეებიდან რუსეთისაკენ.**

**მოსკოვი.** 20 მარტი. პარლამენტის კრიზისი ლიტვაში გამოწვეულია უმთავრესად მალვანოვსკის მიერ სეიმში გამოქვეყნებულ დეკლარაციით, რომელშიაც ნათქვამია: „დაუშვებელია, რომ ლიტვა გახდონ რომელიმე სახელმწიფოს სათამაშოდ. დიდ სახელმწიფოებთან თანამშრომლობა შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ის არ ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. ჩვენი ინტერესები მოითხოვს რუსეთის ეკონომიურად აღდგენის დაჩქარებას და მის მონაწილეობას ევროპის აღდგენის საქმეში. მთავრობა მომავალში განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობის განვითარებას. აუცილებელია აგრეთვე ურთიერთობის განმტკიცება ბალტიის განაპირა და სკანდინავიის სახელმწიფოებთან, მემელის საკითხის გამო.

**„ეროვნული“ დღესასწაული.**

**მოსკოვი.** 20 მარტი. 16 მარტის დღე, როდესაც ანტანტის სახელმწიფოებმა პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვრები იცნეს გამოცხადებულია პოლონეთის ეროვნულ დღესასწაულათ.

**პოლონეთის პოლიტიკა.**

**მოსკოვი.** 20 მარტი. პოლონეთის საპყრობილედან განთავისუფლებულმა ამხანაგებმა დობკალმა და ლაუერმა რუსეთის სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში სთქვეს: „პოლონეთის ეხლანდელი მთავრობა წარმოადგენს წვრილ ბურჟუაზიის მთავრობას. რურის საკითხში პოლონეთს ორჭოფი მდგომარეობა უკავია. არის რა საფრანგეთის მოკავშირე, პოლონეთი თითქოს მხარს უჭერს საფრანგეთის პოლიტიკას, მაგრამ მეორე მხრით, ჰყიდის რა გერმანიაში ნახშირს, პოლონეთის ბურჟუაზია იმით დიდ მოგებას იღებს და საფრანგეთის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედობს. ბურჟუაზიას ეშინია ახალ სამხედრო ავანტიურაში ჩათრევისა და ყოველგვარ საშუალებით ცდილობს თავს აიცილოს ის. თუ პოლონეთის მთავრობა ჩათრეული იქნება ომში, ეს მოხდება მისი სურვილის წინააღმდეგ. მისი მოკავშირეს საფრანგეთის მათრახის ქვეშ. რაც შეეხება აღმოსავლეთ გალიციის პოლონეთისათვის დათმობას ელჩთა კონფერენციის დადგენილებით, ამბობს ლაუერი და დობკალი ომს მით ხსნიან, რომ ინგლისმა დაჰკარგა გალიციისადმი ინტერესი, ვინაიდან მან ნავთის ყველა აქციები საფრანგეთს მიჰყიდა. ამნაირათ დიდ სახელმწიფოთა შორის აღმოსავლეთ გალიციით დაინტერესებული დარჩა მხოლოთ საფრანგეთი, რომელიც, როგორც პოლონეთის მოკავშირე, რა საკვირველია, შეეცადა აღმ. გალიციის პოლონეთისადმი მიკუთვნებისათვის.

აღმოსავლეთ გალიციის პოლონეთის განკარგულებაში გადასვლა მცხოვრებთა სურვილის წინააღმდეგ, დიდ გართულებას უქადის პოლონეთის მთავრობას, მით უფრო რომ უკრაინელები, რომლებიც გალიციის მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ, უარყოფენ პოლონეთის ხელისუფლებას.

**კომუნისტები სამხედრო მობილიზაციის წინააღმდეგ.**

**მოსკოვი.** 20 მარტი. დეპუტატთა პალატის სხდომაზე კომუნისტები სცდილობდნენ აღეძრათ საკითხი რურში გაგზავნილ 1921 წელში გაწვეულ ჯარისკაცთა სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ. დეპუტატი ვიან კუტიური მოითხოვდა მის მიერ შეტანილ შეკითხვის განსახილველათ ვადის დაუყონებლივ დანიშვნას, მაგრამ იუსტიციის მინისტრმა კოლრამ, დაემყარა რა მას რომ სხდომაზე არ იმყოფებოდნენ პუანკარე და სამხედრო მინისტრი, წინადადება შეიტანა განხილულ იქმნას კომუნისტების შეკითხვა რიგის მიხედვით, რაც უდრის განხილვის გადადებას განუსაზღვრელ დროისთვის. პალატამ 466 ხმის უმრავლესობით 67-ს წინააღმდეგ დაადგინა გადაიდოს განხილვა.

**მოწოდება მუშათა სოლიდარობისაკენ.**

**მოსკოვი,** 20 მარტი ფრანკფურტის რევოლიუციონურ მუშათა ორგანიზაციების საერთაშორისო ყრილობასთან დაკავშირებით მოქმედების ცენტრალური კომიტეტი პარიზში იწვევს 17 მარტს მთელ რიგ მასიურ მიტინგების საპროტესტო რურის ოკუპაციის, ცხოვრების გაძვირების და ომის საშიშროების წინააღმდეგ. მოქმედების ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარიზის პროლეტარიატს მოაწყოს ყრილობის გახსნის წინა დღეს მანიფესტაცია დ გამოსთქვას თავისი სოლიდარობა რურის პროლეტარიატთან, რომელიც იბრძვის როგორც საფრანგეთის იმპერიალიზმს, ისე გერმანიის კაპიტალიზმთანაც.

**მუშათა მოძრაობა გრძელდება.**

**მოსკოვი,** 20 მარტი. როგორც თვით პარიზში ისე საფრანგეთის პროვინციებში იზრდება მოძრაობა შრომის ხელფასის მომატებისათვის. მრავალ ადგილებში მოძრაობა თავდება დიდი გაფიცვებით.

**ისპანია.**

**მოსკოვი.** 20 მარტი. ბარსელონაში მუხანა[illegible] თურათ მოკლულ [illegible] ლადი სეგვი. პროტესტის ნიშნად ბარსელონის მუ[illegible] შებმა გამოაცხადეს [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რუსეთი.

**ბიულეტენი ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.**

**მოსკოვი.** მარტის 20-ს მოძრაობის არე ხელში და ფეხში გაფართოებულია მეტყველება იმავე მდგომარეობაშია. საერთო მდგომარეობა კარგია.

მარტი 19-ს, დღის 2 საათი პროფესორები: მინკოვსკი, ფერსტერი, კრამერი.

პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

**განწყობილება შეიცვალა.**

**მოსკოვი.** მარტის 20-ს რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს „ცენტროსოიუზის“ თავმჯდომარემ ხინჩუკმა, რომელმაც იმოგზაურა ბელგიასა, ინგლისს, საფრანგეთსა და გერმანიაში აღნიშნა ის დიდი და ერთბაში ცვლილება, რომელიც ემჩნევათ დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიას საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ. ეს დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო საქმიანი ხდება. ევროპის ბურჟუაზიამ ბევრი ცნობები მიიღო ჩვენი შინაური მდგომარეობის შესახებ და აქვს შესაძლებლობა უფრო ასწონდასწონონ თავისი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება. ხინჩუკმა განაცხადა რომ მას საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის ცენტრალურ კომიტეტში მოუხდა დიდი ბრძოლა ბელგიელ კოოპერატორებთან, რომელთაც წაიკითხეს მოხსენება იმ ძალდატანებათა შესახებ, რომელიც თითქოს მოახდინა საბჭოთა მთავრობამ საქართველოს კოოპერაციაზე. ციფრებით და ფაქტებით ამხ. ხინჩუკმა დაუმტკიცა მათ, რომ საქართველოს კოოპერაციის დაშლა დაიწყო მენშევიკურ მთავრობის დროს, და დღეს კი პირიქით, საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ყოველ მხრივ დახმარებას უწევს საქ. კოოპერაციას.

ბერლინში ამხ. ხინჩუკმა მოახერხა ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმება ემიგრაციაში მყოფ რუს-კოოპერატორებთან იმ საკითხში, რომელიც ეხება სრულიად კოოპერატიულ ბანკისათვის მოსკოვის ყოფ. სახალხო ბანკის გადაცემის შესახებ ამხ. ხინჩუკმა თავის საუბარში აღნიშნა აგრეთვე ის ნგრევა რომელიც გამეფებულია რურის ოლქში. კალნიდან ბერლინამდე ამხ. ხინჩუკის სიტყვით, მა[...] მოუხდა მგზავრობა 8 საათის ნაცვლათ 2 დღე-ღამ[...] და 8-ჯერ მოუხდა გადაჯდომა ერთი მატარებლი[...] დან მეორეში სულიერი განწყობილება რურში ც[...] დი და მოღუნებულია. ასეთივე განწყობილება ბერლინშიაც.

**პოლონეთის კომუნისტები მოსკოვში**

**მოსკოვი** 20 მარტი. მრავალ-რიცხოვანი მუ[...] შათა მანიფესტაციები წითელი დროშებით და რე[...] ვოლიუციონური სიმღერით შეხვდნენ მოსკოვში ჩა[...] სულ პოლონელ კომუნისტებს მათ შორის ამ[...] დომბალს. მოედანზე სადგურის წინ გაიმართა დი[...] დი მიტინგი, რომელზედაც მისასალმებელი სიტყ[...] წარმოსთქვა ამხ. რადეკმა, რომელმაც გააცნო ჩამო[...] სული ამხანაგები მოსკოვის მუშებთან. საპასუხ[...] სიტყვა წარმოსთქვა ამხ. დომბალმა, რომელმა[...] აღნიშნა, რომ პოლონელი ამხანაგები აღტაცებულნ[...] არიან მოსკოვის მუშების შეხვედრით. ჩვენ გვესმი[...] სთქვა დომბალმა, რომ ეს ოვაციები გვეკუთვნი[...] არა ჩვენ პირადად, და რომ ჩვენი სახელით თქვე[...] პატივსცემთ პოლონეთის რევოლიუციონურ მუშებ[...] და გლეხებს, რომელნიც ებრძვიან პოლონეთის თეთ[...] მთავრობას მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისა[...] თვის.

**კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლე[...] ნუმი.**

**მოსკოვი.** 20 მარტი. კომინტერნის აღმასკო[...] მის პრეზიდიუმმა უკანასკნელ სხდომაზე შეიმუშა[...] აღმასკომის გაფართოებულ პლენუმის პროგრამ[...] (კომინტერნის აღმასკომის პლენუმი მოწვეული იქ[...] ნება მაისში), დღის წესრიგში შეტანილია შემდეგ[...] საკითხები: რურის ოკუპაცია, ერთიანი ფრონტი[...] სასარგებლოდ კამპანიის ჩატარება, ბრძოლა ფაში[...] ზმის წინააღმდეგ, ქარხნების საბჭოების მოძრაობა[...] დისკუსია სკანდინაველ ამხანაგებთან კომინტერნ[...] ში ცენტრალიზმის ფარგლების შესახებ, 2 და 2[...] ნახ. ინტერნაციონალების განზრახული გაერთიანე[...] ბა, და მუშათა მოძრაობის მდგომარეობა ინგლის[...] ში უკანასკნელი საკითხის გადასაწყვეტად მოწვეუ[...] ლი იქნება გამოჩენილ ინგლისელ ამხანაგების კონ[...] ფერენციაც.

## ახალი ამბები.

**ა. კ. შრომის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში. პროექტი.** ა. კ. შრომის კომისარ. რწმუნებულის სამმართველომ, ხრ. საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს წარუდგინა პროექტი დასამტკიცებლად. პროექტის ძალით, როგორც ცენტ. ისე ადგილობრივ, ყველა სახელმწიფო და სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ დაწესებულებებში მუშა-მოსამსახურეთა პი[...] რადი შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს მტკი[...] ცე შტატებით გათვალისწინებულ ნორმას. პროექ[...] ტის მე-2 და მე-3 მუხლებში გათვალისწინებულ[...] თუ რა წესით უნდა მოხდეს (მტკიცე ძირითად[...] დამატებითი, დროებითი) შტატების შემუშავებ[...] ამავე პროექტით უქმდება ყველა საუწყებათა შე[...]

# მენშევიკების კრიზისი

**(ა. მარტინოვისა და ნ. რაჟკოვის წერილების გამო)**

1

ამ რამდენიმე ხნის წინად რუსულ კომუნისტურ ლიტერატურაში დაიბეჭდა ა. მარტინოვის და ნ. რაჟკოვის წერილები, რომელთა შინაარსი უმთავრესად მიმართული არის მენშევიკური პარტიის დღევანდელი პოზიციის წინააღმდეგ. ამ წერილების თარგმანი უკვე დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტის“ ფურცლებზე. დაინტერესებულ მკითხველს შეძლება ჰქონდა უფრო დაწვრილებით გასცნობოდა ამ ტიპების მოსაზრებებს და მათს დებულებებს.

მარტინოვი და რაჟკოვი ცნობილი მენშევიკები იყვნენ რუსეთში. პირველი ინტერნაციონალისტ მენშევიკის ცნობილ მარტოვის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა და არა ერთი წერილი დაუწერია მენშევიკური იდეოლოგიის დასაცავად და ბოლშევიკური მსოფლ მხედველობის გასაბათილებლად; რაც შეეხება მეორეს. მასაც საპატიო ადგილი ეჭირა მენშევიკების მოღვაწეთა შორის, როგორც პუბლიცისტსა და აქტიურ მომუშავეს. მას მარქსისტული სოციოლოგიის საზომით განხილული აქვს რუსეთის ისტორია რამოდენიმე ტომში. ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგაც იბრძოდა. როგორც მოსკოვის გაზეთები გადმოგვცემდენ, რაჟკოვი სხვა მენშევიკებთან ერთად 1921 წ. კრონშტატის აჯანყების დროს, ამ აჯანყებულთა ხელმძღვანელობას აპირებდა პეტროგრადიდან. დღეს ეს ცნობილი მენშევიკები და საზოგადო მოღვაწენი (რაჟკოვი პროფესორია) გმობს მენშევიკურ პარტიის დღევანდელ პოზიციას და მხარს უჭერენ იმ ხელისუფლებას, რომლის წინააღმდეგაც გაცხარებულ ბრძოლას აწარმოებდნენ და დღესაც აწარმოებენ, როგორც იარაღით, ისე ლიტერატურის საშუალებით მენშევიკების ბანდები.

როგორც ვიცით, ცნობილმა ლ. მარტოვმა და მთელმა მენშევიკურმა პარტიამ, ბერლინის „სოციალისტურ უწყების“ ფურცლებზე გამოაქვეყნეს თავიანთი პლატფორმა, რომელიც მოითხოვს კაპიტალიზმის რესტავრაციას რუსეთში მთელი თავისი ატრიბუტებით; აღდგენილ უნდა იქმნეს რუსეთში—სწერდა **მარტოვი**, როგორც კაპიტალისტური მეურნეობა, ისე მისი პოლიტიკური ზედნაშენი—პარლამენტარიზმი. საბჭოთა სისტემიდან უკან კაპიტალისტური პარლამენტარიზმის ნიადაგზე დაბრუნება—აი მენშევიკების დღევანდელი პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელებისათვის, მარტოვის აზრით გამოყენებულ უნდა იქმნეს ყოველგვარი საშუალება და მეთოდები. ამ ცნობებით ნათელი ხდება, რომ რუსეთის მენშევიკების.—და არა მარტო რუსეთის არამედ მთელი საერთაშორისო მენშევიზმის მთავარ ამოცანას შეადგენს რუსეთში არსებულ რეჟიმის დამხობა და მის ნაცვლად შექმნა ფორმალური დემოკრატიისა. ფაქტიურად კაპიტალისტური წყობილების.

ნ. რაჟკოვი არსებითად ილაშქრებს ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ, ის ითვალისწინებს, თუ როგორი შედეგები მოყვება ბოლშევიზმის ლიკვიდაციას, როგორც რუსეთში, ისე საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის, და ოფიციალურ მენშევიკების საწინააღმდეგო დებულებებს აყენებს, ავტორი სწერს: „რუსეთში არსებულ რეჟიმის დამხობა გამოიწვევდა რუსეთში არა ჩვეულებრივ შავბნელ რეაქციას, აღმოსავლეთის გამოღვიძებულ ცოცხალ ძალების დამარცხებას და ზიანს მიაყენებდა ევროპის და მსოფლიო მუშათა მოძრაობას. კომუნისტური რუსეთის სიმტკიცით არსებითად დაინტერესებულნი არიან ევროპის არა მარტო კომუნისტები, არამედ ყველა მუშები და მთელი სოციალისტური მოძრაობა. არა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, არამედ ტეხნიკური დახმარება და ხელის შეწყობა,—აი მოვალეობა ყოველი რევოლიუციონური მარქსისტის არა კომუნისტისა. ჩვენ ვიტყოდით, არა მარტო რევოლიუციონური მარქსისტისა, არამედ ყოველი გულწრფელი რევოლიუციონერისა და სოციალისტის.

გამოდის რა ამ ძირითად დებულებიდან, ნ. რაჟკოვი არსებითად უარყოფს მენშევიკების დღევანდელ პოზიციას, რომელიც მას რეაქციის ზურგის გამაგრებად მიაჩნია.

რაც შეეხება მარტინოვს, ის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ გადავიდა მრავალ მღელვარე ტალღათა მნახველის უკრაინის ერთ-ერთს პროვინციაში, სადაც მარტინოვმა „ოთხი წელი გაატარა საკუთარ თავთან და პარტიულ ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლაში“. ავტორს ოთხი მეტად მძიმე წელი დასჭირდა, რომ „კომუნიზმის მშობიარობის ტკივილები“ კეთილად დაეგვირგვინებია და „მენშევიზმიდან კომუნიზმზე გადასულიყო“.

„უკრაინაში მიღებულმა შთაბეჭდილებებმა და ნააზრევმა“ სავსებით დაარწმუნა მარტინოვი საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის სისწორეში და მის მოწინააღმდეგე პარტიების სრულს სიყალბეში.

ავტორის მიერ გამოქვეყნებული წერილი მრავალ საყურადღებო მომენტებსა და დებულებებს შეიცავს, ყოფილი მენშევიკი სავსებით ამართლებს და მიზანშეწონილად მიაჩნია ყველა ის ღონისძიებანი, რომელსაც მიმართავდა კომუნისტური ხელისუფლება. ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით ავტორის წერილის ყველა დარიგებებზე; მოვიყვანთ მხოლოდ წერილის დასასრულს, რომელიც შეიცავს „ჩიხში მომწყვდეულ“ მენშევიკის გულწრფელ მონანიებას „თავისი ცოდვებისათვის“. მარტინოვი აღნიშნავს, რომ ყოველთვის, როდესაც მას მოუხდა საკუთარი მსოფლმხედველობის გადაფასება მიდიოდა წინ, რევოლიუციის განვითარების მიმართულების და არა უკან. მაგრამ მისთვის სამწუხაროა, სახელდობრ ის, რომ იმ დროს, როდესაც კომუნისტები ბურჟუაზიულ მსოფლიოს ებრძოდენ, სცდებოდენ და ასწორებდენ თავიანთ შეცდომებს, ბორძიკობდენ და ისევ ფეხზე დგებოდენ, მე უკრაინაში ოთხი წელი გავატარე საკუთარ თავთან და პარტიულ ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლაში; ამ ცოდვისთვის მე დავიმშვიდებ თავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩემ მიერ ამ ოთხი წლის განმავლობაში გატარებული თვით კრიტიკის ძნელი საქმე, გაუადვილებს კომუნიზმის მშობიარობის ტკივილებს მრავალ მენშევიკს, რომელნიც, მე დარწმუნებული ვარ, გრძნობენ ეხლა, როგორც ვგრძნობდი აქას მე, რომ ისინი ჩიხში მოემწყვდენ, მაგრამ არ იციან როგორ გამონახონ გამოსავალი“ (ზემოდ და აქაც ვსარგებლობ გაზ. „კომუნისტის“ თარგმანით).

რაჟკოვის და მარტინოვის წერილები მეტად დამახასიათებელი და საინტერესო არის მრავალის მხრით, პირველი ის საინტერესოა, რამდენათაც გამოხატავს რევოლიუციის საწინააღმდეგო ბანაკში მომწყვდეულ გულწრფელ სოციალისტების პსიხოლოგიურ განცდასა, და მოვლენათა მსწრაფ განვითარების პროცესში წარმოშობილ შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც უხვად არის გაბნეული მარტინოვის „შთაბეჭდილებებში“. მეორე მხრით ეს წერილები გამოხატავენ მენშევიკური იდეოლოგიისა და პროგრამის უდიდეს კრიზისს, რომელიც არა ახალია, არამედ ძველის ძველი.

ისტორიულად მენშევიზმის იდეოლოგიური კრიზისი ძველის ძველია. ფაქტიურად ამ კრიზისმა თავი იჩინა და ყველასათვის ნათელი გახდა საერთაშორისო ომისა და რევოლიუციის პროცესში. ომმა და რევოლიუციამ გამოააშკარავეს სრული იდეოლოგიური სიკოტრე საერთაშორისო მენშევიზმისა და მათი პრაქტიკული პროგრამის ბურჟუაზიული შინაარსი. ომმა შეიქმნა ის კატაკლიზმა, რომელმაც დასწმინდა სოციალისტების აზროვნება და პროლეტარიატის რიგებიდან განდევნა ყალბი რევოლიუციონერები და რეფორმისტები.

ომის წინა წლებში, ბაზელის საერთაშორის[...] კონგრესზე საერთაშორისო მენშევიზმმა ფიცი და[...] დვა მთელი მსოფლიოს წინაშე, რომ თუ მსოფლიო[...] ომი დაიწყებოდა ისინი ამ ომს სამოქალაქო ომა[...] გადააქცევდნენ და იბრძოლებდენ სოციალისტურ[...] რევოლიუციისათვის. ომის წინა დღეებში ეს აღთქმ[...] განმეორებული იქმნა ყველა მებრძოლი იმპერია[...] ლისტური სახელმწიფოს მენშევიკურ პარტიებისაგან[...] მაგრამ, როდესაც ომი დაიწყო და მილიტარიზმმ[...] ენერგიულად აღმართა მახვილი ძმათა სისხლი[...] დასაღვრელად, მენშევიზმმა უღალატა თავის აღთქ[...] მას, თავის დადგენილებებს საერთაშორის[...] კონგრესებზე დ გვერდში ამოუდგა თავიანთ იმპე[...] რიალისტურ სახელმწიფოებს. ცნობილმა რენეგატმ[...] გუსტავ ერვემ ეს „გარდატეხა“ მენშევიზმისა საუცხო[...] ვოდ დაახასიათა იმის დროს: ომამდე ჩვენ, სოცია[...] ლისტები ღრუბლებზე ვისხედით, ომის ღმერთმა ეს[...] ღრუბლები გაჰფანტა დ ჩვენ ყველანი საკუთარ ტე[...] რიტორიაზე დავეცით საკუთარივე ინტერესების და[...] საცავადო. ფაქტიურად მენშევიკების ასეთმა პოლი[...] ტიკამ მოგვცა საკუთარი ნაციონალური იმპერიალო[...] ბის დაცვა. ნაცვლად საერთაშორისო პროლეტარია[...] ტის გაერთიანებისა, რასაც მოითხოვდა დიადი პრინ[...] ციპები მუშათა მოძრაობისა, მესადის გამონაკლი[...] სის მეორე ინტერნაციონალის პარტიები იარაღით[...] ხელში ერთიმეორეს გაუმასპინძლდენ ბრძოლის ველ[...] ზედ.

ასეთივე სამარცხვინო დამარცხება დ როლ[...] ითამაშეს მენშევიკებმა რევოლიუციის პროცესშიაც[...]

საფრანგეთის ცნობილი ხომანისტი. დღეს ფრა[...] ნგი კომუნისტების რიგებში მებრძოლი რევოლიუ[...] ციონერი **ანრი ბარბიუსი** საერთაშორისო რეფორ[...] მიზმის შესახებ ამბობდა: ეს არის შხამი სოციალიზ[...] მი, რომელიც სწამლავს მუშათა მოძრაობას.

თანამედროვე საერთაშორისო რევოლიუცია[...] დ მენშევიკების ხელმა ამ მოძრაობაში დაამტკიცა[...] რომ მენშევიზმი რეაქციის შუამავალი ძალა არის დ[...] როგორც ასეთი სწამლავს საერთაშორისო სოცია[...] ლისტურ მოძრაობას დ აფერხებს მუშათა განთავი[...] სუფლების საქმეს მთელს მსოფლიოში.

მენშევიზმმა სამარცხვინო როლი ითამაშა რუ[...] სეთის მოძრაობაში დ მუშურ გლეხური ხელისუფ[...] ლების წინააღმდეგ მებრძოლ რეაქციას გაუმაგრ[...] ზურგი. ამას დღეს ნათლად გრძნობენ დ ამტკიც[...] ბენ მენშევიკების რიგებიდან გამოსულ მენშევიკები[...] ცნობილი ბელადები

**ხიმონ ხუნდაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისო და უწყებრივი საშტატო კომისია, გარდა კომისარიატთან არსებულ საშტატო კომისიისა.

— **1922 წ. შრომის და ტვირთზიდვის ხარკის შესახებ.** ა. კ. შრ. კომ. რწ. სამმართველომ სრ. საქ. საბ. ცენტრ. აღმ. კომიტეტს წარუდგინა პროექტი დასამტკიცებლად, რომლის ძალითაც 1922 წ. შრომის და ტვირთზიდვის ხარკის გადაუხდელ პირთ ეძლევა ამნისტია შემდეგი სახით: 1) განთავისუფლებულ იქნას სოფლის მოსახლეობა გასულ წელს შრ. და ტვირთზიდვის ხარკის ნატურალური სახით მოხდისაგან და აგრეთვე განთავისუფლებულ იქნეს აღნიშნულ წლის შეუსრულებელ მუშა-დღეების ნაცვლად ფულად გადასახადისაგან; 2) მოისპოს შრ. და ტვირთზიდვის ხარკის შეუსრულებლობის გამო აღმოცენებული საქმეები, რომლებიც არიან წარმოებაში; 3) გამოტანილი განაჩენები არ იქნეს შესრულებული; 4) თავისუფლდებიან, ვისაც ხარკის შეუსრულებლობის გამო მისჯილ ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა ან იძულებითი მუშაობა.

— **1923 წ. შრომის და შარა გზის ტვირთის ხარკის გატარების წესის შესახებ.** ამავე შრ. კომ. სამმართველომ საქ. სახ. კომისართა საბჭოს წარუდგინა პროექტი დასამტკიცებლად 1923 წლის შრომისა და შარა გზის ტვირთზიდვის 1923 წ. ხარკის გატარების შესახებ. პროექტის ძალით მიმდინარე წლის 1 იანვრიდან რესპ. ქალაქებში და სოფლებში შრ. და შარა გზის ტვირთზიდვის ხარკი აკრეფილ იქნება ფულად.

— **განათლების კომისარიატში.** სახ. განათლების კომისარიატმა დაუგზავნა მიწერილობა ყველა ტეხნიკუმებს, რომ სწავლა სააღდგომო არდადეგებისთვის უნდა შესწყდეს ა. წ. 5 აპრილს და განახლდეს აუცილებლივ 16 აპრილს.

— **ბუხჰალტრების გამოშვება.** სახგანკომის პროფ-განათლების მთავარ მმართველობის გამგ მყოფ ავალიშვილის ქართულ საბუხჰალტრო კურსებმა გამოუშვა მეორე ჯგუფი ბუხჰალტრებისა. 1) ივ. ბაბუაძე, 2) ი. ბოჭორიშვილი, 3) სიმ. გველესიანი, 4) ვ. გეგენავა, 5) მ. რატიანი, 6) აკ. ჩიგოგიძე და 7) ირ. ზაალიშვილი.

— **განათლების სახლში.** პარასკევს, მარტის 23-ს, საღამოს 6 საათზედ განახლდება მეცადინეობა საბავშო სახლის ქვესექციაში. მომხსენებელია მელიქიშვილი: „საბავშო სახლების მიზანი“.

### პარტიაში

მარტის 21-ს, დილით 10 საათზე რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სარევიზიო კომისიის სხდომა.

წინააღმდეგ შესაბრძოლებლად სამდივნოს დადგენილებით დაარსებულ იქნება უმუშევართა კომიტეტი, რომელსაც დაევალება ამ საქმის მოგვარება.

**საორგანიზაციო მუშაობისათვის.** საორგანიზაციო განყოფილებამ პროფესიონალურ მუშაობის გასაცხოველებლად ყველა კომუჯრედეებს დაუგზავნა ცირკულიარები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სხვა და სხვა საორგანიზაციო საქმის გადაწყვეტის დროს და აგრეთვე პროფმუშაობის სწორედ გასატარებლად.

### აღმშენებელთა კავშირში

**საორგანიზაციო განყოფილებაში.** თებერვალში საორგანიზაციო განყოფილების მიერ მოწვეულ იყო მუშათა ერთეულების გაერთიანებული თათბირი. თათბირის მიზანი იყო მუშათა ინტერესების ნათლად წარმოდგენა მათი გაერთიანება მჭიდრო კავშირში, საანგარიშო თვის განმავლობაში განყოფილებამ მიიღო გადაჭრილი ზომები ფონდის და ურთიერთ დამხმარე კასის დასაარსებლად. პროფესიონალური მოძრაობა თანდათან იზრდება, როგორც ეს სჩანს ბათომის და სხვა განყოფილებებში ქუთაისის განყოფილებაში [illegible] ბა სწარმოებს.

**სატარიფო განყოფილებაში.** [illegible] განყოფილებამ მუშათა ხელფასის სისწორის დასაცავად მოახდინა მუშათა ცოდნის და მათი თანამდებობის გამორკვევა. ამ მოსაზრებით არ იქნება დაშვებული რაიმე შეცდომა სატარიფო შეთანხმების დროს და კოლექტიური ხელშეკრულებანი გატარდება დიდი სისწორით და სამართლიანობით.

**კულტგანყოფილების მუშაობა.** თებერვლის განმავლობაში განყოფილებამ დაათვალიერა რაიონული კომუჯრედები და მისცა სათანადო დადგენილებანი კულტ. განმანათლებელ დარგში მუშაობის სახელმძღვანელოდ. გატარდა სანიტარულ განათლების დარგში შესაფერისი პროპაგანდა მოეწყო სპეციალური ლექციები, რომელმაც მუშათა მასსებში დიდი გამოხმაურება მოიპოვეს. პროფტეხნიკურსებზე თებერვალში სწავლა სწარმოებდა წარმატებით. იმას გარდა გატარდა კომპანია გაზეთების გამოსაწერად.

## ეკონომიური ცხოვრება

**ღვინის ტრესტში.** გომისა და აბასთუმნის არყის სახდელ ქარხნებში გამოხდილი არის უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში (იანვარ-თებერვალის) ნახევარ მილიონ გრადუსზე მეტი. მაისამდი განზრახული არის 1 ნახ. მილ. გრადუსის გამოხდა. შემდეგ მოხდება ჩვეულებრივი შეწყვეტა მუშაობისა—ენკენისთვემდე და ამ ხნის განმავლობაში იწარმოებს მზადება მომავალ კამპანიისათვის; დამზადდება ნედლი მასალა, სიმიდი და სხ.

კონიაკის ქარხნები სავსებით დამაკმაყოფილებლად მუშაობენ და იძლევიან მოგებას. სასპირტო—რექტიფიკაციული ქარხნები (№№ 1, 2 და 3) გაჩერებული არიან ნედლი მასალის უქონლობის გამო, მაგრამ შემოდგომიდან, ვენახების მოსავლის რეალიზაციის შემდეგ, შესაძლებელი იქნება მათი ამუშავება. სააქციზო გადასახადის ახალი ამატება მეტად დიდ გავლენას ახდენს საკონიაკო საქმეზე, რადგან აქციზი კონიაკზე არა თუ ომის წინ არსებულ რაოდენობამდე არის აყვანილი, არამედ მასზე მეტი არის 50 პროცენტით, მაშინ როდესაც გასაყიდი ფასი შემცირდა და ბაზარი კი 95 პროცენტით არის დაპატარავებული.

## მუშათა ცხოვრება.

### ავლაბრის მუშათა კლუბი

დიდი და კაპიტალური რემონტის შემდეგ, ძლივს ეღირსათ ავლაბრის მუშებს კლუბის გახსნა. ავლაბარში არის რაიონული კლუბიც, მაგრამ იგი დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება ავლაბრის მრავალ რიცხოვან მშრომელი ხალხის ცხოვრებაში. ახლად გახსნილ კლუბის შენობას წინეთ მრავალი პატრონი ჰყავდა სხვა და სხვა პირების სახით. მენშევიკების დროს ამ კლუბის შენობას გვარდიის მეთაურები განაგებდნენ, მაგრამ ყველა ჩვენ მიერ აღნიშნულმა პირებმა, თუ არაფერი დააკლეს კლუბს არც არაფერი შეუმატნიათ; მათ ვერ შესძლეს კლუბი თავის მაღალი მნიშვნელობის სიმაღლეზე დაეყენებინათ, ვინაიდან ისინი თავიანთ მიერ გახსნილ კლუბ-თეატრებს კულტურული თვალსაზრისით კი არ განაგებდნენ,—არამედ **კომერციულის** და ჩვენ ვიყავით მრავალჯერ იმისი მოწმე, რომ ყველა მათი დაწყებული საქმე. მხოლოდ გათახსირებით თავდებოდა!

დღევანდელი მუშათა კლუბი კი რამდენადაც ვიცით ამ მიზნით არ არის გახსნილი. ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებული, რომ დღევანდელი კლუბის მეთაურები გვერდს აუვლიან ყოველგვარ კომერციას და ამ მშვენივრად მოწყობილ დარბაზს გამოიყენებენ წმინდა კულტურის და კულტურული პრინციპების თვალსაზრისით. და ეს აუცილებლად ასე უნდა მოხდეს, რადგან იგი მუშათა კლუბია.

სხვა გზით სვლა ისე როგორც ყოველთვის,—დამარცხებით გათავდება, ვინაიდან ანბანური ჭეშმარიტებაა რომ კულტურა და კომერცია სხვა და სხვა ფერის მცნებები არის.

და ეს ანბანური ჭეშმარიტება კლუბის მმართველებს ყოველთვის უნდა ახსოვდეთ, თუ კი მათ სურვილი აქვთ, რომ მუშათა კლასმა საბოლოოდ გაიმარჯოს.

აღნიშნულ კლუბში ჯერ-ჯერობით ორ ენაზე იმართება წარმოდგენები ქართულად და სომხურად. სომხურს წარმოდგენებს მართავს კვირაში ორჯელ აკადემიური დრამის პროფესიონალური მსახიობები და ქართულს კი (კვირაში სამჯერ) ავლაბრის სცენის მოყვარეთა დრამატიული კოლექტივი, რომელიც შესდგება სულ ქარხანა-ფაბრიკის მუშებისაგან, რომელსაც ხელმძღვანელობს რეჟისორის სახით „რაბისის“ წევრი მსახიობი ი. რევაზიშვილი.

პატარა დეფექტების გარეშე, უკანასკნელმა ორმა ქართულმა წარმოდგენამ აშკარად დაგვარწმუნა, რომ მუშა-არტისტებს ხალისიანად მოუკიდნიათ თავიანთ კლუბში თავიანთ საყვარელ საქმისათვის ხელი და შეთანხმებული ეწევიან მუშაობას.

„მუშათა განთავისუფლება, მუშათა საქმეა!“

როგორც ეტყობა მუშა-არტისტები ამ ლოზუნგით ხელმძღვანელობენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კლუბის მმართველობა ყოველი ღონით შეეცდება და როგორც ქართული არის, ისე სომხურ წრესაც შექმნის მხოლოდ და მხოლოდ ქარხნის მუშებისაგან, თორემ გამოცდილებით ვიცით, რომ მუშათა სამსახურისთვის მუშათა კლუბს არა მუშური „ოპეკუნები“ არ გამოადგებიან.

დღევანდელ პირობებში მაინც და მაინც არ არის დიდი ის ფასები, რომელიც დაწესებულია კლუბში შესასვლელ ბილეთებზე, მაგრამ მხედველობაში ვიღებთ რა ავლაბრის ღარიბ მოსახლეობას, თუ მოსახერხებელი იქნებოდა კარგს იზამდა კლუბის მმართველობა, რომ რამოდენიმე პროცენტით შეენელებია ბილეთების ფასები.

**მუშა ისკანდერი.**

### მელითონეთა კავშირში

**კულტურული მუშაობა.** გამგეობის წევრთა არჩევნების გამო თებერვალში კულტურული მუშაობა კავშირში მცირეოდენად შეფერხდა, მაგრამ მიუხედავად ამ დაბრკოლებისა კულტურული დარგი მაინც სრულიად უყურადღებოდ არ იყო დატოვებული. 25 თებერვალს კულტგანყოფილებამ მოასწრო მუშათა კლუბის გახსნა.. კლუბის გახსნის დღეს ამხ. მ. ცხაკაიამ გააკეთა მოხსენება „წითელი არმიის 5 წ. და საქართველოს გასაბჭოების 2 წლის დღესასწაულის შესახებ. მოხსენების შემდეგ მუშებისთვის რიადნოვის სტუდიის ძალებით გამართული იყო კონცერტი. არსენალის აოგილკომის მიერ დაარსებულ იქნა ფიზიკურ ვაჯიშობისთვის „სპარტაკის“ წრე.

კულტგანყოფილებამ მიიღო თავის თავზე მიხ. ცხაკაის სახელობის საბავშვო სახლის შეფობა. 26 თებერვალს მოხდა მოქ. რიაზანცევის ძეგლის გახსნა. რიაზანცევი დაიღუპა მენშევიკებთან ბრძოლაში და იგი გამოსული იყო არსენალის მუშებიდან. ძეგლის გახსნას დაესწრო აუარებელი ხალხი. გაიმართა მიტინგი, სადაც წარმოითქვა სიტყვები რიაზანცევის ხსოვნის აღსანიშნავად. 28 თებერვალს ავტოსახელოსნოების მუშების მიერ გაიმართა წარმოდგენა. წარმოდგენის წინ სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის წარმომადგენლის მიერ წაკითხულ იყო ლექცია „სანიტარულ განათლების“ შესახებ. ტეხნიკურ უცოდინარობის მოსასპობად ავტო-სახელოსნოსთან (№ 3) არსებობს სკოლა.

**წითელი ფლოტის სასარგებლოდ.** მელითონეთა კავშირის საორგანიზაციო განყოფილების მიერ ჩატარებულ იქნა „წითელი ფლოტის კვირეული“. კავშირის წევრებმა თავის ერთ დღის ნამუშევარის ხელფასი გადასდეს წითელ ფლოტის სასარგებლოდ.

**საორგანიზაციო განყოფილების მოქმედება.** თებერვლის განმავლობაში საორგანიზაციო განყოფილებამ მოაწყო შემდეგი კრებები. პოლიტიკურ საკითხებზე—6 კრ. ეკონომიურ საკითხებზე—10 კრ. კულტურულ-განმანათლებელ დარგში—6. ამის გარდა შესდგა რამდენიმე კრება პროფესიონალურ მოძრაობის საკითხის შესახებ.

### ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში

**გაერთიანებული ყრილობის მოწვევა.** ვინაიდან ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირში მარტო ტფილისში ირიცხება წევრი რიცხვით—1800 კაცი და ამასთანავე პროვინციის განყოფილებებშიაც, წევრთა რიცხვი საკმაოდ დიდია, როგორც მაგალითად: ბათომში—2.500 კაცი, ფოთში—700 კაცი, სოხუმში—400 კ. კავშირის სამდივნომ გადასწყვიტა 20 მარტისთვის მოიწვიოს სრულიად საქართველოს ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის წევრთა საერთო ყრილობა. ყრილობის უმთავრეს მიზანს შეადგენს კავშირის წევრთა ურთიერთი ინტერესების გაცნობა და დაახლოვება. ყრილობის მოწვევის შესახებ ეცნობება სრ. რუსეთის ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირს და გაიგზავნება ყრილობის დღის წესრიგიც.

**უმუშევართა კომიტეტის დაარსება.** ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის წევთა უმუშევრობის

## მეცნიერება და ცხოვრება

**სახლები მიწის ქვეშ.** ამერიკელმა არქიტექტორებმა სახლების აშენებისათვის დაიწყეს გამოყენება იმ მიღწევებისა, რომელიც მიწის ქვეშ შენობების აგებაში მდგომარეობდა. ნიუ-იორკში აშენებულია პირველი სახლი მიწის ქვეშ, რომელსაც გარდა მიწის ზედა არსებულ 14 სართულისა, აქვს კიდევ 7 სართული მიწის ქვეშ. რადგან ჯერ კიდევ სავსებით უშიშარი არ არის, ამ მიწის ქვედა სახლებში ჯერჯერობით მოწყობილია საწყობები, გარაჟები და სხ. შემდეგში განზრახულია საცხოვრებელი ბინების მოწყობაც. ამ შენობების გასანათებლად მოწყობილია მთელი კომბინაციები ფანჯრებისა და პროჟექტორების, რომლებიც სინათლეს აძლევენ. ამ შენობებს აქვთ უდიდესი მნიშვნელობა, რადგან ისინი ფართო შესაძლებლობას იძლევიან იმ ტერიტორიის სრულ გამოყენებისათვის, რომელიც არქიტექტორების განკარგულებაშია.

**როგორი იქნება მსოფლიო 2022 წელს. ე. ი. ასი წლის შემდეგ?** ერთმა ამერიკულმა გაზეთმა მოაწყო ანკეტა თავის მკითხველებს შორის ზევით მოყვანილი საკითხის გამო. გრიფფიტმა, ცნობილმა კინემატოგრაფის მოღვაწემ ამერიკაში უპასუხა: ასი წლის შემდეგ არ იქნება არც წიგნები, არც ჟურნალები. ყოველივე ეკრანზე იქნება გამოცხადებული. შესწავლა კინემატოგრაფიული ლენტის საშვალებით მოხდება; იქნება კინო-სკოლები და კინო-ბიბლიოთეკები. ამერიკელ ცნობილ ტეხნიკურ მოღვაწის ვალტერ პოლიაკოვის აზრით, ასი წლის შემდეგ არ იქნება არც ნახშირი და არც ნავთი. სამაგიეროთ მონახული იქნება საშვალება მზის სხივების ენერგიის გამოყენებისა. სულ სხვაგვარი იქნება ავიაცია ვიდრე დღეს არის, რადგან მოძრაობის პრინციპათ გამოყენებული იქნება მიმზიდველობის ძალა. კრიტიკოსმა ანრი მენკენმა უპასუხა მოკლეთ: ასი წლის შემდეგ ამერიკა ინგლისის კოლონია იქნება. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული პასუხებში სქესთა ურთიერთობის საკითხს. მისს სანგერის აზრით, ასი წლის შემდეგ კაცობრიობა შეისწავლის ახალ თაობათა დაბადების კონტროლს და ბავშები ამ ქვეყნათ მხოლოდ მაშინ გაჩნდებიან, როდესაც მეუღლეთა შორის დამყარდება ნამდვილი ჰარმონია.

## ახალი განკაცებული ქართველი

ქალაქების მახლობლად მოწყობილი მეურნეობა უდიდეს მომავალს უქადის ჩვენს ქალაქებს და მათში მცხოვრებ ინტელიგენციას, თუ ეს უკანასკნელი გონს მოვა და ხელს მიჰყოფს სასოფლო მეურნეობის ამა თუ იმ დარგს, თუ გაანძრევს ხელს, რომ ერთიან ედემის ბაღად და ფერმებად თუ ბოსტნებად აქციოს ქალაქების მთელი არე-მარე, რომელიც დღეს ასე დაღვრემილად გამოიცქირება მოქალაქეთა ბრწყინვალე სასახლეთა გარშემო და ცოტა თუ ბევრად მათაცა სდებს ამ დაღვრემილების იერს.

გული მიკვნესის და მიკვდება, როცა, მაგალითად, ვუყურებ ბრწყინვალე და მდიდარი ტფილისის გავერანებულს და გადახრუკებულს მიდამოებს!.. ამოდენა ინტელიგენცია, ამოდენა სპეციალურად მომზადებული მეურნენი თუ ტეხნიკოსნი ჰყავს აქ ჩვენს დედაქალაქს, ამოდენა შეძლება და ყველაფრით ხელისშემწყობი პირობები აქვს და ერთი, წამლად რა არის, წამლად და ლიტონ აზრადაც არ მოიპოვება აქ ცდა მის გადახრუკულ მიდამოთა შეუდარებელ ედემ-ბაღებად გადაქცევისთვის!.. იტყვით ტფილისის არე-მარე მოკლებულია წყალს და უწყლოდ ვინ რას გაარიგებსო? არა! ჩვენი ქვეყანა თვით ბუნებით ისე მრავლად და ხელ-შემწყობად არის მთადელეებით დასერილი, რომ ფრიად დ ფრიად ადვილია აუარებელი და სრულიად საკმაო წყლის შექმნა, დაბადება. ჩვენ მოვახსენებთ ხელოვნურ ტბებისა დ წყალთა ამბრების დამართვაზე, მაგრამ ვისთვისა ვწერთ, ვის ვუქადაგებთ ამას? ჩვენი საზოგადოება გატაცებულია ყველაფრით, ოღონდ არა ასეთი საქმეებით. სომეხს დ რუსს კიდევ ეპატიება ასეთი გულ-გრილობა ტფილისის არე-მარეთა ასეთს სამწუხარო მდგომარეობისადმი, მაგრამ ჩვენ ქართველებს კი არასოდეს!

მაგონდება პატივცემული ა. ნატროშვილის სიტყვები, თქმული მისგან ერთ ერთ კრებაზე, რომ ჩვენ **ადამიანი** გვაკლიაო, ე. ი. ბარემ ადამიანები ბევრი გვყავს (დ დიდად ნასწავლებიც!), მაგრამ გვაკლია **ხასიათით სრული ადამიანები**, ურომლებოთაც არც არაფერი გაკეთებულა როდისმე დ ვერც დღეს გაკეთდება თუნდაც ძალიან ხელს უწყობდნენ მთავრობა დ საზოგადო ვითარებანი. დიახ, გვაკლია პირადი ძალა საკუთარის სულისა დ ხორცისა, რომელიც თვით უსაშინელეს შემთხვევებშიაც მხოლოდ დ მხოლოდ თავის საკუთარ „მე“-ს ენდობა, გვაკლია ის შეუპოვარი დამოუკიდებელი ხასიათი, რომელის მხოლოდ ამას იმეორებს: **„ან ვიპოვნი გაკვალულ გზას და ან მე თითონ გავკვალავ მასაო“!**

ამ სახით, მართალია, დიდი რამ გვკლებია ჩვენ, მაგრამ ეს ისეთი თვისებაა, რომ ყოველს ადამიანს, თვით მცირედ ნასწავლსაც კი, ადვილად შეუძლიან ერთხელ დ სამუდამოდ შეიძინოს იგი, საჭიროა მხოლოდ იმის შეგნება დ დანახვა, რომ ჩვენ ქართველებს სწორედ ეს გვაკლია დ სხვა ყოველი, კერძო თუ შეკავშირებული მოქმედება-საქმენი, თვით დაგვებადებიან. თქვენ **კაცი** სთქვით ამ **ხასიათისა დ მიმართულებისა**, თორემ. განა ცოტა დიდი შასანიშნავი საქმეები გაკეთებულა ქვეყანად უარეს პირობებში დ უარეს გარემოებებში?!

დიახ, ჩვენ სწორედ მოხსენებული ხასიათის კაცები გვაკლია, თორემ შეკავშირებულ ამხანაგობათა აყვავებისათვის ჩვენშიაც და სხვაგანაც მუდამ იყო კიდევაც და დღესაც არის ნიადაგი მზათ! თუ არ ეს, მაშ რა გვიშლის ჩვენ, ამოდენა ინტელიგენციას, თუ უმაღლესი სპეციალური სწავლით აღჭურვილებს? დიახ, რა გვიშლის? შევერთდეთ ერთ დიდ კავშირად ან სულ პატარ-პატარა ჯგუფებად, სპეციალობისა და მისწრაფების მიხედვით და ხელი მივყოთ ჩვენი დედა-ქალაქის დაღვრემილი მიდამოების გაედემ-ბაღებას! რა გვიშლის? რა და იმ პირადი თვით-მოქმედების უქონლობა, რომელზედაც ზემო მოგახსენეთ!

დროა გამოვფხიზლდეთ, თავები შევიბლერტოთ მხრებზე და კერძო თუ შეკავშირებულ თვითმოქმედების გზას დავადგეთ, თორემ ლიტონი ლაღადი ჩვენს საჭიროებათა შესახებ, ხსნისა და შველის გზაზე ვერ დაგვაყენებს ჩვენ... მაშ, გაუმარჯოს ახალს, განკაცებულს ქართველს! ეს არის დღეს ჩვენი პირველი საჭიროება, ეს არის დასაბამი ჩვენ ყოველ საუკეთესო მისწრაფებათა!

ყველა აქ მოხსენებულ ხასიათებისა და მიმართულების შეძენა, მართალია, ჩვენი პირადი, ჩვენი საკუთარი თვით-მოქმედებითაც შეიძლება, მაგრამ მარტო ეს არა კმარა. აქ საჭიროა **ამოძრავება** მთელის ერისა და ხალხისა, საჭიროა ძირ-ფესვიანად გარდაქმნა ჩვენი ერის იმ ნაწილისა, რომელიც მარტოოდენ ეგრედ-წოდებულ ლიბერალურ, ანუ უკეთ ვსქვათ, ბურჟუაზიულ სწავლა-განათლებას მისდევს და ამის გამო სრულიად ორგულ შვილად ეზრდება სამშობლოს. უნდა შევიგნოთ, რომ მეურნეობისა და მასთან ერთად სატეხნიკო ხელოვნება ცოდნის გასავრცელებლად იმ სიფართოვით, როგორც ამას ჩვენ ვთხოულობთ, ყოვლა უმნიშვნელოა თითო-ოროლა სპეციალ სასწავლებლის დაარსება. დროა შევიგნოთ, რომ მათში გამოზრდილი ათიოდე და თუნდა ასიოდე სპეციალისტი ვერ გაამთელებენ ჩვენს იარებს, ვერ ააყვავებენ ჩვენს ქვეყანას. მეურნეობა-მრეწველობით, იოტის-ოდენათაც ვერ წასწევენ მას წინ, თუ იმავ დროს, დაწყებული სახალხო სკოლებიდამ ვიდრე უნივერსიტეტამდე, სამეურნეო-სატეხნიკო საგნებს ისეთსავე საპატიო ადგილს არ მივცემთ მოზარდთა სწავლა-აღზრდაში, როგორიც დღეს წერა-კითხვას, მათემატიკას და ისტორია-გეოგრაფიას თუ ბუნებისმეტყველებას აქვს დათმობილი.

ლიტონი წერა-კითხვის სკოლის მოტრფიალენი, ეჭვი არ არის, იმიტომ იცავენ თავის ისეთს მოძღვრებას, რომ მათის აზრით, წერა-კითხვა, მათემატიკა, ისტორია გეოგრაფია და სხვა მისთანა სასწავლო საგნები საუკეთესო საშუალებაა მოზარდი თაობის გონებრივად გახსნა-განვითარებისთვის, მაგრამ ესეც ხომ ხან-მოჭმული აზრია?! დღეს უკვე დამტკიცებულია, რომ მოხსენებული საგნების სწავლა კი არ ანვითარებენ ადამიანს არამედ თვით ადამიანი თვისი უკვდავი ბუნებრივი და გონებრივი ნიჭებით ჰქმნის და ანვითარებს ამ საგნებს და მათს ცოდნას (იხ. ჩვენი წიგნაკი „რა არის გონებითი გახსნა-განვითარება“?). მაშ თუ ეს ასეა, რათ უნდა ხელი შეუშალოთ მოზარდ თაობას ამ სამეურნეო და სატეხნიკო საგნებშიაც ავარჯიშოს და ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცადინოს თავისი ნიჭნი, რომლებიც ათასწილ უფრო ადვილი და ხელმისაწვდომია ყოველი ბალღისათვის, ვიდრე სხვა ყოველი საგანი?!

რაც შეეხება იმას, თუ როგორი უნდა იყოს ახალი სკოლა, ვსთხოვ მკითხველს წაიკითხოს ჩვენი წიგნაკი „მეურნეობა და ახალი სკოლა", გამოცემული 1902 წ., რომელშიაც დაბეჭდილია სხვათაშორის წერილი „ინგლისურს სკოლაში" და მეორე წიგნი რუსულ ენაზე „Новая народная школа и основы ея развития и существования", გამოცემული 1903 წელს, რომელშიაც პირდაპირ არის ნათქვამი—„თან იმუშავე და თან ისწავლეო"!..

ასეა საქმე. მაგრამ დღეს ვერც ახალი სკოლები დასდებენ წამალს „ჩვენს ბედ-შაობას, ჩვენს ერთობას დაკარგულს და მამულს დაობლებულს", დიახ, ვერც ასეთი სკოლები აგვიზრდიან იმ **ხრული ხასიათის ქართველობას,** რომლებმაც უნდა ააყვავონ ჩვენი ქვეყანა, რომლებმაც უნდა შექმნან „ჩვენი მყობადი, ჩვენი მომავალი". ეს დიდზე დიდი საქმე, ეს დიდზე დიდი მიზანი—**ახალი, განკაცებული ქართველის** დაბადება, შექმნა და აღზრდა მხოლოდ **ოჯახს** შეუძლიან და ჩვენც მასზე გავიდეთ.

**ივანე როსტომაშვილი.**

## რა დავაშავეთ?

ამ უკანასკნელ დროს ხშირად გაიგონებთ საზოგადოებაში ერთ ახირებულ აზრს, რასაც იძულებული ვართ Volns-nolens პასუხი გავცეთ საკითხის ნათელსაყოფად, ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ეკონომიური ანორმალობის სიმძიმის ცენტრი ყველაზე მეტად დააწვა მოსწავლე ახალგაზრდობას—სტუდენტობას. რომ ეს ასეა, ამას გვიმტკიცებს: მრავალ სტუდენტთა სხვა და სხვა დაწესებულებაში სამსახური, მრავლის სოფელში ყოფნა, რომელთაც ბედმა არგუნა მამაპაპურ პრიმიტიული მეურნეობის წარმოება თავის ფიზიკური არსებობისათვის. ამას გარდა არის კიდევ საგრძნობი ნაწილი სტუდენტობისა, რომელიც არ მსახურობს და გაუბედიათ სწავლის გაგრძელება და ჩამობინადრებულა ტფილისში. აღნიშნული ნაწილი სტუდენტობისა სათანადოთ თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ შეასრულებს (მცირე ნაწილის გამოკლებით). სტუდენტები, რომელნიც არ მსახურობენ ხშირად ხდებიან საყვედურის ობიექტად: რატომ არ უნდა ქონდეს მას ჩაბარებული მინიმუმი საგნებისაო? ის არ მსახურობს „ქონებრივად უზრუნველყოფილია" და მოეთხოვება სერიოზულად და დადებითად აწარმოოს აკადემიური მუშაობაო. ამ შეუფერებელ აზრს გამოსთქვამს ხოლმე ხშირად თვით სტუდენტები, რომელნიც მსახურობენ. ასეთი ყალბი მსჯელობა აიხსნება იმით, რომ ისინი ვერ იცნობენ უმსახურო სტუდენტთა მდგომარეობას.

ამ რამდენიმე დღის წინად ერთ პროფესორის გარშემო სტუდენტები შეგროვილიყვნენ და სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხზე მსჯელობდნენ, რამოდენიმე სტუდენტმა აღნიშნა; შეუძლებელია, რომ სტუდენტიბს, რომელიც არ მსახურობს, საგნები ჩაუბარებელი ქონდესო და პროფესორიც მათ დაეთანხმა.

სტუდენტები, რომელნიც არ მსახურობენ მიტომ-კი არ მსახურობენ, რომ უზრუნველყოფილი აზრიან, არამედ მიტომ, რომ სამსახური ვერ უშოვნიათ. შრომის ბირჟაში რამოდენიმე ასი სტუდენტია ჩაწერილი და თხოულობს ადგილს; ბევრი ბირჟაში არაა ჩაწერილი და ხან ერთ დაწესებულებაში თხოულობს სამსახურს, ხან მეორეში, მაგრამ ამაოდ... სტუდენტები, რომელნიც მსახურობენ, ეკონომიურად კარგ პირობებში არიან და ცოტაოდენი დროც რჩებათ ინტელექტუალურ ვარჯიშობისათვის. ის კი, ვინც არ მსახურობს ქრონიკულ სიმშილს განიცდის და მთელ დროს სიარულში ატარებს: მიდის დილას უნივერსიტეტში, შემდეგ სტუდენტთა სასადილოში, სადაც ორი ან მეტი საათი დააგვიანდება, იქიდან ისევ სალამოს ლექციაზე, შემდეგ თავის მოწაფეებთან (თუ ყავს) სამაცადინოთ, და ღამის 11 საათზე ბრუნდება დაქანცული თავის ცივ ოთახში. ასეთ პირობებში შეიძლება აკადემიური მუშაობა?..

დამშევა ქრონიკულ მოვლენად გახდა სტუდენტთა ცხოვრებაში. ცნობილი ზოოლოგი ვაშერ დე ლაპუჟი ამბობს: „როცა ხალხი მდიდარია, მას კარგი საკვები ექნება და რასა, რა გინდ ჩამომავლობისა იყოს იგი, ლამაზი იქნება და უმაღლეს განვითარების წერტილამდე ავა იგი; პირიქით ეკონომიურ მიზეზების გამო თუ ხალხს სამყოფი საკვები არ აქვს... ამ ხალხის მოზარდი თაობა თავის განვითარებაში ჯერ ცოტათი შეფერხებული იქნება, მერე კი, თუ გარემოება არ გამოიცვალა, სრულიად შეჩერებულიო". ასეთია ეხლანდელი მდგომარეობა. რატომ უნდა იყოს საყვედურის საგნათ აღებული ფიზიკურად, ეკონომიურად და ინტელუქტუალურად დაქვეითებული სამსახურის არ მქონე სტუდენტობა??. გვასწავლეთ როგორ გადავლახოდ ეს უმწეო ობიექტიური პირობები და მოგისმენთ. თუ არა და რა დავაშავეთ???

**„შმაგი".**

## მოწერილი ამბები

### ჭიათურის ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

**ჭიათურა.** 1913 წლიდან აქ არსეობს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მიერ დაარსებული სახალხო უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, რომელსაც განაგებდა მისი დაარსებიდან ვერა ლულაძის ქალი.

ამ 10—11 წლის განმავლობაში ეს კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება სულიერათ ასაზრდოებდა ჭიათურის და მისი რაიონის მშრომელთ და მოზარდ ახალ თაობას. ამავე დროის განმავლობაში ენერგიულად და იდეიურად ემსახურებოდა და სათანადოთ უვლიდა მას მისი გამგერისთვისაც, როგორც ვიცით, არა ერთხელ მიუღია მადლობა მას, კარგი და სასარგებლო სამსახურისათვის სათანადო უწყებიდან.

ამასთანავე გამგის, „კარგი და სასარგებლო" სამსახურს ამტკიცებს დედა ქალაქიდან—ტფილისიდან მიღებული, წერილები ზოგიერთ მწერალ-მგოსნებისა, საიდანაც სთხოვენ მათი დაკარგულ ნაწარმოების აღდგენას ზემოხსენებულ ბიბლიოთეკაში მოვლილ-შენახულ ჟურნალ-გაზეთების საშვალებით. ის უწყება, რომლის მზრუნველობაშია დღეს ზემოხსენ. ბიბლიოთეკა და კმაყოფილია მისი მოვლა-პატრისუფლობით. როგორც ვიცით, მაინც ითხოვს თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან მის გამგეს.

ზოგიერთ ახალგაზრდათა ჯიბიანობით და გავლენით.

ნუ თუ ადგილი უნდა ჰქონდეს ჯიბიანობას და საქმის გამოურკვევლობას?

ნუ თუ დასაშვებია ადგ. პროფკავ. მიერ წევრის დათხოვა გამოურკვევლად—უდანაშაულოდ, ბრალდების დაუმტკიცებლად?..

ნუ თუ ყოველივე ზემოაღნიშნული დასაშვებია გლეხურ-მუშურ ხელისუფლების დროს?..

სამწუხაროდ ჯერ-ჯეროფით ფაქტის წინაშე ვდგევართ.

**მკითხველი ქალი.**

## პარტიული ცხოვრება

**ტფილისი.** პარიზის კომუნის 52 წლის თავის აღსანიშნავად კვირას, მარტის 18-ს, საღ. 6 საათზე პარტიის ცენტრალურ ბიუროში გაიმართა ტფილისის მეორე რაიონის წევრთა საერთო კრება. კრებას დაესწრო საკმაო რიცხვი ამხანაგებისა. თავმჯდომარეობდა ამხ. პლატონ კვირკველია. მოხსენებით გამოვიდა ამხ. თედო ღლონტი. მომხსენებელი დაწვრილებით შეეხო იმ სოციალ-პოლიტიკურ პირობებს, რომელშიაც აღმოცენდა და მუშაობა მოუხდა პარიზის კომუნას. აღნიშნა აგრეთვე კარლ მარქსის და სხვა ავტორიტეტულ სოციალისტების შეხედულებანი პირველ კომუნარების მოღვაწეობის დადებითი და უარყოფითი მომენტებზე. გაავლო პარალელი რუსეთის თანამედროვე რევოლიუციასა და პარიზის კომუნის შუა. ამხ. მომხსენებლის აზრით, უსაბუთოა ფიქრი იმის შესახებ, რომ პარიზის კომუნა არ დამარცხდებოდა, თუ კი კომუნარების პოლიტიკურ ხაზში შეცდომებსა და დეფექტებს არ ექნებოდა ადგილი. მაშინ ბურჟუაზია ძლიერი იყო და მთელი ევროპის მასშტაბით ბურჟუაზიულ ინტერესებს შუა არ არსებობდა წინააღმდეგობა. დღეს კი სრულიად საწინააღმდეგო მდგომარეობაა შექმნილი. დღევანდელი ევროპის ბურჟუაზია არ არის ერთის აზრით და მიზნებით გამსჭვალული. იგი დაქსაქსულია და არ წარმოადგენს ერთ მთლიან პოლიტიკური გეგმის მატარებელს. ამავე დროს თანამედროვე ბურჟუაზიის ეკონომიური სიძლიერის საფუძვლები საკმაოდ შერყეულია და გაბზარული. რევოლიუციონურ საბჭოთა ფედერაციაში დიამეტრალურ მომენტებია აკინძული. რუსეთის მშრომელთა კლასი გამსჭვალული ერთის მიზნით და მთლიანი გეგმის განხორციელებით, საკმაოდ მომაგრებულია ეკონომიურადაც. ძლიერია მისი სამხედრო ძალები.

ამხ. თედოს შემდეგ ილაპარაკეს ამხანაგებმა: გ. მუშიშვილმა, ქ. ბაქრაძემ და ს. ამაღლობელმა. ამხანაგები შეეხნენ პარიზის კომუნას და იმ თეორიულ თვალსაზრისს, რომლითაც უნდა ხდებოდეს ანალიზი ასეთ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებისა, როგორიცაა პარიზის კომუნა.

თავმჯდომარის უკანასკნელი მოკლე სიტყვის შემდეგ კრება დაიხურა საღ. 10 საათზე.

**პროლეტარიძე.**

## ხელოვნება

**ქართული მუსიკის ხაღამო.** ახალგაზრდათა, ქართული მუსიკალური საზოგადოებამ, თანამედროვე ქართველ კომპოზიტორების და საზოგადოთ ნაციონალური მუსიკის ფართო მასსაში გადატანაგავრცელების და მისი განვითარების მიზნით,—მოიტანა პირველი ბარაქიანი სიფთა. ეს სიფთა, ნაციონალური მუსიკის მოყვარულ ახალგაზრდათა—მისალოცია მთელი სულითა და გულით, ნორჩია ჯერ ქართული მუსიკა—ნორჩია, როგორც ეხლახან გაღვიძებული სურვილი ქართული კულტურის დამოუკიდებელ ცხოვრებისა; მე ვამბობ, გამოფხიზლებული ამ მძიმე თვლემის შემდეგ—სიძველის გავლენისაგან. მაგრამ მომავალი, ქართული მუზისა და კულტურისა, მრავალ-გვარი შესაძლებლობის გამო, უეჭველათ ბარაქიანი იქნება. პირველი კონცერტი, ახალგაზრდათა ქართული მუსიკალური საზოგადოებისა, გაიმართა მიმდინარე ამა მარტის დასაწყისს, მე 2 სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში.

კონცერტი გაიხსნა ქართული სახალხო სასიმღეროების ორკესტრიული შესრულებით, ჩხიკვაძის კრებულიდან: „ვინა სთქვა საქართველოზე". ქორიძის „ბროლის ყელსა", ზაქარია ფალიაშვილის „ვოიდი-ლა" და არაყიშვილის, „ოროველა", უკანასკნელი ორკესტრთან ერთად შეასრულა მოწაფე შ. ცირღილაძემ. ორკესტრს გამოენაცვლა ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებთაგან, ნაწყვეტების შემსრულებელნი, ზაქარია ფალიაშვილიდან, არაყიშვილი დ ბალანჩივაძიდან. შესრულებული იქნა საუკეთესო ადგილები ოპერიდან „აბესალომ დ ეთერი (ბ. ჯაფარიძე-ორკესტრით) „არაბი"-ს არია, თქმულებიდან შოთა რუსთაველზე შეასრულა 1-ლი კონსერვატორიის მოწაფემ, პროფესორ ჯაყელის კლასიდან—ქამაკაშვილმა. ახალგაზრდა მომღერალი საკმაოდ ძლიერი, მეტად ლამაზი და მუსიკალური ხმით არის დაჯილდოებული.

კარგათ შეასრულა „მგოსნი"-ს სიმღერა, თქმულებიდან შოთა რუსთაველზე ბ. ლორთქიფანიძემ. ორი წელიწადია I-ლი ტფილისის კონსერვატორიის კურს დამთავრებულმა მოწაფე—ვენაძემ, შეასრულა არია ბალანჩივაძის ახალ ოპერიდან „თამარ ცბიერი". (როდის-ღა მოვისმენ ნეტა ამ ოპერას მთლიანათ სცენიდან, და არა ნაწყვეტებით—საკონცერტო ესტრადებიდან). ვენაძეზედ მე უკვე მაქვს ნათქვამი „ტრიბუნის" ფურცლებზე. ვიმეორებ, ვენაძეს ელის დიდი საოპერო კარიერა, იმ პირობით აგრეთვე, თუ რომ ხმის ყველა დანარჩენ რეგისტრებს დაამუშავებს. ვოკალური ნომრების გარდა, შესრულებული იქნა კიდევ უვერტჰიურა და ბალეტი, თქმულებიდან შოთა რუსთაველზე, გადატანილი ფორტეპიანოზე (მაღალაშვილი) ვიოლინო—ბ. თაქთაქიშვილი და ვიოლონჩელი ბ. თაქთაქიშვილი.

კონცერტი დასრულდა ორკესტრიული შესრულებით „ლოთებო". ორკესტრსა და ხორის დირიჟორობდა თაქთაქიშვილი და ელეფთერი. კონცერტმა საუკეთესო შთაბეჭდილება დასტოვა. კეთილ გზა. ჩვენ ველით მეტს!

**კ. ბერბუთიძე.**

### კინემატოგრაფია და ჟურნალისტიკა.

ცნობილი გერმანელი ჟურნალისტი კოლინ როსსი, რომელმაც მოიარა თითქმის მთელი ქვეყანა, ახლახან დაბრუნდა ცენტრალურ აზიასა და რუსეთში მოგზაურობიდან გერმანიაში. მან თან მოიტანა დიდძალი ფილმის სურათები კავკასიიდან, რუსეთიდან, სპარსეთიდან, თურქესტანიდან, ბუხარიდან და სამარკანიდან. მიუხედავად იმისა, რომ ე(სე) პირველი დებიუტი არის კოლინ როსსისა კინო-ფოტოგრაფის როლში, სურათები მაინც კარგათაა გადაღებული. ამას წინად მან ეს სურათები აჩვენა ბერლინის მეცნიერულ თეატრში, რომელსაც თან დაურთო პირადი მოგონებანი და ახსნა. როგორც მოხსენება, ისე სურათები მეტად მიმზიდველი იყვ(ნენ) თავისი აღმოსავლეთური სილამაზით.

### „ბუდენბროკების ოჯახი".

ტომას მანის პოპულიარულ გერმანულ რომანს „ბუდენბროკების ოჯახს" ამ ჟამად ამუშავებ(ენ) ფილმისათვის. ეს რომანი ეპიური ტონით არის დაწერილი და საეჭვო არის, თუ რამდენად იქნება ის გამოსადეგი ფილმისათვის.

### „მიწის სული".

ბერლინში ამ ჟამად აჩვენებენ ფილმით გადაკეთებულ ფრანკ ვედეკინდის ცნობილ პიესას „მიწის სული". ფილმამ დიდი ინტერესი გამოიწვია; რეჟისორმა იესნერმა დადგა ფილმა ექსპრესიონისტული სტილით—ეკრანზე თითქმის აღარ არის ნაწერები, რაც კინო-ხელოვნების თვალსაზრისით დიდი პროგრესია.

### მოხსენება უნივერსიტეტში.

დღეს, მარტის 21, საღ. 7 საათზე უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში სტუდენტთა „სანიტორიო სალიტერატურო" წრე გამართავს „მორიგ მოხსენებას: მომხსენებელია გ. ჯაკობია თემა: **იოანე შავთელი** დასწრება ყველას შეუძლია.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

### დადგენილება № 79

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საშულებათა გასაძლიერებლად სპეციალური გადასახადის დაწესების შესახებ.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საშუალებათა გაძლიერებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს განსაკუთრებული დამატებითი გადასახადი სახელწოდებით: „საქ. წითელი ჯვრის სპეციალური საშუალებანი".

ა) ყველა თეატრისა, კინოსა და სხვა ფასიანი საჯარო სანახავისა, გასართობისა და კრებების ბილეთებზე-ბილეთის ღირებულების 5 პროცენტის რაოდენობით.

ბ) ლოტოს თამაშით მოგებულ თანხაზე ამ თანხის 5 პროცენტის რაოდენობით და

გ) ყოველგვარ სასამართლო აქტების სალერბო გადასახადის თანხაზე ამ თანხის 3 პროც.-ის რაოდენობით.

2. ამა დადგენილების პირველ მუხლში აღნიშნული გადასახადიდან შემოსული თანხები გადასახადის ამკრეფი დაწესებულების მიერ შეტანილ უნდა იქნეს ხაზინაში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საშვალებებში ჩასარიცხად.

3. მიღებული თანხების ანგარიშს ხაზინა აწარმოებს სპეციალურ საშუალებათა ანგარიშის წარმოების წესით.

4. ამა დადგენილების განმარტებისა და განვითარებისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს უფლება ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხაღარიძე.**

1923 წ. თებერვლის „10„.

### წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

იმედია თქვენი გაზეთში ადგილს დაუთმობ ამ განცხადებას: 1914 წლიდან მე ვითვლებოდი ს.-ფ. ს. პარტიის წევრად. 1921 წელს, როდესაც მოხდა ს.-ფ. ს. პარტიის დაყოფა მე დავტოვე იგი პარტია. დღეიდან კი გადავდივარ მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში.

**სტ. დავითი მეკუ.**

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

## ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი

ამით აცხადებს დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ აღმასკომთან არსებობს კომისია მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის ამხ. პაიჭაძის, შინ. საქ. სახ. კომისარიატის ამხ. დეკანოზიშვილის; პროფკავშირის ამხ. მაშვილევიჩის და აღმასკომის—ნიკოლეიშვილის და ინჟ. მუხარინსკის შემადგენლობით.

აღნიშნული კომისია არის ერთად ერთი ქ. ტფილისში, რომელსაც დავალებული აქვს აწარმოვოს ტეხნიკური დათვალიერება ადგილობრივ სახლების და არავითარი სხვა კომისია ამავე დავალებით ქალ. ტფილისში არ არსებობს.

თუ ადგილი ექნეს აღნიშნულ კომისიის გარეშე ვინმეს მხრივ სახლების დათვალიერებას, ეს როგორც თვითნებობის დამახასიათებელი ფაქტი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშუალოთ აღმასკომის პრეზიდიუმს დამნაშავის პასუხისგებაში მისაცემად. 301—1—1

## ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმი

**ამ უკანასკნელ დროს შემოვიდა მთელი რიგი შუამდომლობისა დარაბებზე საიჯარო ქირის შემცირების შესახებ.**

ტფილისის აღმასკომი ამით აცხადებს, რომ არავითარ მომატებას საიჯარო ქირისა, მარტში, ადგილი არ ქონია. ქირის გადიდება შედეგია კურსის აწევის. იჯარის ქირა დარაბებზე დაწესებულია ოქროს მანეთებში, რომელიც აღმასკომის მიერ ითვლებოდა თებერვალში 250.000 მან. ამიერკავკასიის ფულის ნიშნებით და მარტში 350.000 მან.

ზემოხსენებულის გამო ყოველგვარი განცხადება საიჯარო ქირის შემცირების შესახებ დატოვებულ იქნება უშედეგოდ.

**პრეზიდიუმი.** 302—1—1

### ტფილისის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოება

ამით აცხადებს, რომ თანახმად თვრამეტი მარტის საზოგადო კრების დადგენილებისა დანიშნულია საზოგადოების წევრთა არა ჩვეულებრივი კრება ამ წლის პირველ აპრილს კვირას დღის თერთმეტ საათზედ საზოგადოების ბინაზედ (სასახ. ქ. № 6).

**განსახილველი საგნები:**

1. არჩევნები გამგეობის თავმჯდომარისა და ერთის წევრისა.
2. საბჭოს წევრთა დამატებითი არჩევნები.

თუ ამ დღეს კრება არ შესდგა, მეორე კრება შესდგება 15 აპრილს თერთმეტ საათზედ იმავე ბინაზედ იმავე საკითხების გადასაწყვეტად და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

**საზოგადოების გამგეობა.** 303—1—1

ტირაჟი 1 700

საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქ. № 2.